საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 14 ივნისი, 2024 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/42

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე და 35-ე მუხლების, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, 44-ე და 45 მუხლების, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ პირველი მუხლის 1.2 და 1.3 პუნქტების, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა (N269, 11.06.2024) და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წერილის (N276, 13.06.2024) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2024 წლის 01 სექტემბრიდან დანართი №1-ით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

2. კონკურსი ჩატარდეს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ და წინამდებარე დადგენილების შესაბამისად.

3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2024 წლის 15 ივლისიდან 19 ივლისის ჩათვლით, 10.00 საათიდან 16.00 საათამდე, საპროცედურო კომისიაში - ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, პირველი სართული, ოთახი №103 (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - batukonkursi@batu.edu.ge);

ბ) კონკურსი ჩატარდეს 2024 წლის 23 ივლისს;

გ) კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე batu.edu.ge არაუგვიანეს 2024 წლის 25 ივლისისა;

დ) კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2024 წლის 01 სექტემბრიდან.

4. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №05-01/05 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესს“ და დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მხოლოდ ბხსუ-სთან აფილირებას და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, გააჩნია თუ არა ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

6. აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ კონკურსანტებს, რომლებიც გამოხატავენ წინასწარ წერილობით თანხმობას აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ბხსუ-სთან აფილირებაზე.

7. დამტკიცებულ იქნეს კონკურსანტის განცხადების (დანართი №2), ანკეტის (დანართი №3), საჩივრის (დანართი №4), განცხადებისა და საჩივრის მიღების შესახებ ცნობების (დანართი №5, დანართი №6), კონკურსის მონაწილეთა და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალების (დანართი №7, დანართი №8) ფორმები.

8. ინფორმაცია (დანართი №9) კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ბხსუ-ს საინფორმაციო დაფაზე.

9. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**